



Keep Rugby Clean

KEEP RUGBY CLEAN

კოკაინი

რა არის კოკაინი?

კოკაინის ექსტრაქტს ღებულობენ მცენარე კოკას ფოთლებიდან, რომელიც ძირითადად სამხრეთ ამერიკაში ხარობს; ეს ნარკოტიკი შექვევის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამომწვევი და მავნე არსებულთა შორის. მისი მიღებული დასახელებებია „კოლუკი“, „დარტყმა“, „თოვლი“, „კრეკი“ და „ცხვირის კამფეტი“. შესაძლებელია კოკაინის ჭამა, ინექციით მიღება და მოწევა, თუმცა შებერვა ან „შეყნოსვა“ ყველაზე უფრო მიღებული მეთოდია.



კოკაინი კლასიფიცირებულია, როგორც არა-სპეციფიკური აღმგზნები საშუალება და აკრძალულია მხოლოდ შეჯიბრის დროს მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ. კოკაინის გამოყენებასთან დაკავშირებული სანქცია იწყება 4 წლიანი აკრძალვით სპორტის ყველა სახეობისგან.

როგორ მოქმედებს ორგანიზმზე?

კოკაინი პირდაპირ მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და იწვევს ინტენსიურ თრობას ან ეიფორიის შეგრძნებას. საწყისი აღგზნება სწრაფად გადაივლის და ნარკომანებს დეპრესიას უტოვებს. სხვა მოკლევადიანი ზემოქმედება ორგანიზმზე შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- წონის დაკარგვა, მადის დათრგუნვის გამო
- გუგების გაფართოება
- სხეულის ტემპერატურის, გულისცემის სიხშირის და სისხლის წნევის ზრდა
- სისხლძარღვების შევიწროება

გრძელვადიანი ზემოქმედება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- არითმია
- ყურადღების და კონცენტრაციის დაკარგვა
- თავის ტკივილი და გულისრევა
- ტკივილი გულმკერდის არეში და სასუნთქ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები
- ინსულტი და შესაძლო სტენოკარდიული შეტევები

რამდენი ხნის განმავლობაში რჩება კოკაინი ორგანიზმში?

ორგანიზმში კოკაინის მეტაბოლიტების აღმოჩენა შესაძლებელია მიღების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში. ამ პრეპარატის ორგანიზმიდან გამოყვანის დროზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები, როგორცაა მიღებული რაოდენობა, გამოყენების სიხშირე, სქესი, ასაკი, კოკაინის სისუფთავე და პიროვნების მეტაბოლიზმი.

გახსოვდეთ - მოთამაშის ტესტი კოკაინზე შეიძლება დადებითი იყოს მაშინაც კი, როდესაც მისი გამოყენება ტესტირებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა.

კოკაინი

✗ სტატუსი რაგბში აკრძალულია შეჯიბრის დროს